

**DEVELOPMENT OF CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN BANKING
INDUSTRY**

George Arevadze

*Thesis submitted to the graduate faculty of the Business School of Ilia State University in fulfillment
of the requirements for the degree of Master in Business Administration*

Business Administration

Academic Supervisor: Lana Chkhartishvili, Ph.D. Candidate

Ilia State University

Tbilisi, 2014

აბსტრაქტი

თეზისში შესწავლილია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება საბანკო ინდუსტრიაში. აღწერილ იქნა როგორც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი დახასიათება, ასევე მისი როლი მთლიან საბანკო ინდუსტრიაში და კერძოდ - საქართველოს საბანკო სექტორში. ამან მოგვცა საშუალება, რომ წარმოდგენა შეგვექმნა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის წვლილზე და გაგვევლო პარალელი საქართველოს საბანკო სექტორთან მიმართებაში.

თეზისში გამოყენებულ იქნა კვლევა: „საზოგადოებაში არსებული მოლოდინი და რეალური დამოკიდებულება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ 2014 წელს“. კვლევის დაწყებამდე ხდებოდა საზოგადოებისთვის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განმარტება და რამდენიმე მაგალითის მოყვანა, რათა კვლევის ყველა მონაწილეს ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა არის პარალელის გავლება საზოგადოების აზრის ცვლილებასთან მიმართებაში 2007-2014 წლებში. 2007 წელს მსგავსი კვლევის მეშვეობით გამოკითხული იყო მხოლოდ წარმატებული ბიზნეს კომპანიების ტოპ მენეჯმენტის წარმომადგენლები. 2014 წელს გამოკითხული იყო როგორც მაღალი რგოლის მენეჯერები, ასევე საშუალო და დაბალი რგოლის მომსახურე პერსონალი. კვლევის დახმარებით მოხდა აგრეთვე თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულების და მათთვის ნაცნობი კორპორატიული პასუხისმგებლობის მაგალითების გამოვლენა.

ზემოთ აღნიშნული კვლევით გამოკითხულ იქნა 220 ადამიანი, საიდანაც აღებულ და შედარებულ იქნა 200 თბილისის მაცხოვრებლის პასუხები 2007 წლის შედეგებთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, საბანკო ინდუსტრია, საზოგადოება

Abstract

The thesis has studied development of corporate social responsibility in banking industry. It will cover general information about corporate social responsibility, its role in banking industry and Georgian Banking Sector in particular. This review will give us the opportunity to study the important role of corporate social responsibility and will enable us to draw parallels with Georgian banking industry.

This thesis includes research: “Study of Public Perceptions and Expectations for Corporate Social Responsibility in Georgia in 2014”. Before conducting the research, each respondent was given a little explanation along with several examples, in order to give them the understanding of what corporate social responsibility was about.

The most significant findings were outlined by making parallels of the changes of society’s opinion in 2007-2014. The same research was conducted in 2007, but it was targeted on top management’s representatives of successful business companies. The target audience of this research were Georgian top management’s representatives, as well as middle and low level personnel. Research results also helped us identify Georgian society’s attitude toward banking sector and find out the most popular CSR activities in Tbilisi.

220 respondents participated in research, however just 200 participants were based in Tbilisi, who were taken for comparison purposes of research conducted in 2007.

Keywords: corporate social responsibility, banking industry, society